

ოქმი N4**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის**

2019 წელი, 22 თებერვალი

ქ. ოზურგეთი
15⁰⁰ -16⁰⁰საათი**თავმჯდომარეობდნენ:** ლ.ბიგვავა - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.**ესწრებოდნენ:**კომისიის წევრები: თ.ტულუში, გ.ჩავლეშვილი,
ვლ.ჩავლეშვილი, ლ.მგელაძე, ბ.დოლიძე, მ.ჩხიკვიშვილი,
დ.ჭაკნელიძე, ტ.აროშიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N60 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხს:ლ.ბიგვავა

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2018 წელში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ.

მომხს:ლ.ბიგვავა**თანამომხს:თ.გიორგაძე.**

3.ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის მოწესრიგების მიზნით გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს:ლ.ბიგვავა

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ის ცვლილებები, რომლებიც მერიის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის ცვლილებების პროექტშია გათვალისწინებული. აღნიშნა, რომ ძირითადად პროექტი იმსახურებს მხარდაჭერას, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, რომ საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან შეთანხმებული და დამტკიცებული 1,35 მილიონი ლარის სფლის მხარდამჭერი პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები დარჩენილიყო უცვლელად და მთავრობის მიერ დმატებით გამოყოფილი ასიგნებები ისე განაწიებულიყო. მართალია, თანხების ხარჯვა არამიზნობრივად არ ხდება, ისევე სოფლებზე ნაწილდება, მაგრამ აუცილებელია მუნიციპალიტეტის

აღმასრულებელ და კოლეგიალურ ხელისუფლებას შორის მიღწეული იქნას კონსენსუსი.

კომისიის წევრმა, მ.ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ სოფელ დვაბზუში მოსახლეობის პირველ კრებაზე პრიორიტეტებად მიჩნეული საკითხები გათვალისწინებული არ იქნა მეორე კრების ოქმში. კომისიის წევრები შეთანხმდნენ, რომ ბიუჯეტის ცვლილებების პროექტს მხარს დაუჭერენ იმ შემთხვევაში თუ მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს წევრებს შორის მოხდება საერთო აზრის ჩამოყალიბება და განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების შეჯერება.

კომისიის წვრებმა მოისმინეს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სვრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურის უფროსის ინფორმაცია „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2018 წელში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ“, ასევე კომისიის თავმჯდომარის მოკლე ინფორმაცია „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის მოწესრიგების მიზნით გაწეული მუშაოების შესახებ“.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1.დამტკიცდეს კომისიის მიერ მომზადებული დასკვნები (თან ერთვის) სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხზე და ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი კომისიის მიერ მხარდაჭერილ იქნას იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს წევრებს შორის მოხდება საერთო აზრის ჩამოყალიბება და განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების შეჯერება.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2018 წელში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ“ -ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

3.მუნიციპალიტეტის მერიამ (კ.შარაშენიძე) უახლოეს ხანში წარმოუდგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“.

ლავრენტი ბიგვავა



კომისიის თავმჯდომარე
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია